პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975 პარასკევი 1 აგვისტო № 179 (16305) ფასი 2 კაპ. 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

გუშინ ჰელსინკში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას, რომელიც გამსჭვალულია მშვიდობიანი თანაარსებობის სულისკვეთებით, დიდი ზრუნვით დაძაბულობის შემდგომი შენელების განმტკიცებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის, უდიდესი ინტერესით, მოწონებითა და ნათელი მომავლის რწმენით შეხვდა საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

მშვიდობისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარე!

პატივცემულო თათბირის მონაწილენო!

ყველანი, ვინც კი ვმონაწილეობთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო ეტაპში, ვგრძნობთ ამ მოვლენის უჩვეულო ხასიათს, მის პოლიტიკურ მასშტაბურობას. შეიძლება გულდაჯერებით ითქვას, რომ ამასვე გრძნობს მილიონობით ადამიანი თათბირის მონაწილე ყველა ქვეყანაში, და არა მარტო ამ ქვეყნებში ისინი ჩვენთან ერთად იზიარებენ იმას, რაც ამ დღეებში ხდება ფინეთის დედაქალაქში.

რით არის გამოწვეული ამ დარბაზში მყოფი უმაღლესი პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელების ასეთი დამოკიდებულება თათბირისადმი?

პასუხი, ალბათ, ის არის, რომ თათბირის შედეგებთან დაკავშირებულია მოლოდინი და იმედები, როგორიც არ წარმოუშვია არც ერთ სხვა კოლექტიურ აქციას პერიოდში, რომელიც მოჰყვა ომისშემდგომი დროის ცნობილ ერთობლივ სამოკავშირეო გადაწყვეტილებებს.

იმ თაობის ადამიანები, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი გადაიტანა, განსაკუთრებით ნათლად ხვდებიან ამ თათბირის ისტორიულ აზრს. მისი მიზნები ახლობელია აგრეთვე ევროპელთა იმ თაობის გონებისა და გულისათვის, რომელიც გაიზარდა და ცხოვრობს მშვიდობის პირობებში და რომელსაც სამართლიანად მიაჩნია, რომ სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

ორი მსოფლიო ომის წლებში ევროპის მიწა უხვად არის მორწყული სისხლით. ევროპის 33 სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის უმაღლესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი შეიკრიბნენ ჰელსინკში, რათა გაეროიანებული მეცადინეობით შეუწყონ ხელი იმას, რომ ევროპა გადაიქცეს კონტინენტად, რომელსაც ღარ შეაზანზარებს ომი. მშვიდობიანი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ევროპის ყველა ხალხისათვის. რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ეს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი პლანეტის ყველა სხვა ხალხისათვისაც.

ევროპას, რომელიც არის მრავალი ბრწყინვალე ეროვნული კულტურის ცენტრი, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მშვენება, შეუძლია მტკიცედ მშვიდობის საფუძვლებზე სახელმწიფოთა ურთიერთობის მშენებლობის კარგი მაგალითი მოგვცეს.

საბჭოთა კავშირს თათბირის შედეგები როდი მიაჩნია მეორე მსოფლიო ომის საჭირო პოლიტიკური შედეგის უბრალო შეჯამებად. ეს ამასთანავე არის მომავლის გაზრება ევროპის ხალხთა დღევანდელი დღის რეალობათა და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შესაბამისად.

აქ, ევროპაში, არაერთხელ დაუდგამთ თავზი საეჭვო „დაფნის გვირგვინები“ აგრესორებს, რომლებსაც შემდეგ ხალხთა წყევლა-კრულვა ხვდათ წილად. აქ, ევროპაში, პოლიტიკურ დოქტრინად უქცევიათ მსოფლიო ბატონობის პრეტენზიები, რაც იმ სახელმწიფოთა კრახით დამთავრებულა, რომელთა რესურსები დანაშაულებრივ კატორღულობის მიზნებს ემსახურებოდა.

აი რატომ დაჰკრა ჟამმა გარდუვალი კოლექტიური დასკვნები გამოვიტანოთ ისტორიის გამოცდილებიდან. და აქ ეს დასკვნები გამოგვაქვს ევროპის კონტინენტის მომავლისათვის ჩვენი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, რადგან ეს კონტინენტი უნდა არსებობდეს და ვითარდებოდეს მშვიდობის პირობებში.

არა მგონია ვინმემ უარყოს, რომ თათბირის შედეგები — ეს არის მონაწილე ყველა სახელმწიფოს ინტერესების გულდასმით აწონ-დაწონილი ბალანსი. ამიტომ მათ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვეკიდებოდეთ.

გავლილია ძძიმე გზა სრულიად ევროპის თათბირის თვით იდეის წამოყენებიდან მის კულმინაციამდე — უმაღლეს დონეზე დამთავრებამდე. საბჭოთა კავშირი, რომელიც საღად აფასებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის განაწილებასა და დინამიკას, მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ დაძაბულობის შენელებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის მძლავრი ნაკადები, რომლებიც ამ ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო მეტად განსაზღვრავენ ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარეობას, თათბირისა და მისი შედეგების მეოხებით ახალ ძალასა და კიდევ უფრო მეტ გაქანებას შეიძენენ.

დოკუმენტი, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროთ, აჯამებს რა წარსულის შედეგებს, თავისი შინაარსით მომავალს ჭვრეტს. მიღწეული შეთანხმებანი მოიცავენ ყველაზე აქტუალური პრობლემების ფართო სპექტრს: მშვიდობას, უშიშროებას, თანამშრომლობას სხვადასხვა დარგში.

მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთობა ემყარება ფუძემდებელი პრინციპების მნიშვნელოვან ბაზას, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ერთმანეთთან ურთიერთობაში ქცევის ნორმები. ეს არის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რომლებისთვისაც ასე მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი, რომლებისთვისაც იბრძვის ჩვენი ხალხი დღესაც.

თათბირმა განსაზღვრა თანამშრომლობის მიმართულებანი და კონკრეტული ფორმები აგრეთვე სავაჭრო-ეკონომიურ, მეცნიერებისა და ტექნიკის, გარემოს დაცვის, კულტურის, განათლების, ადამიანთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შორის კონტაქტების სფეროში.

თანამშრომლობის შესაძლებლობანი ახლა ერთელობა ისეთ დარგებზეც, სადაც ეს წარმოუდგენელი იქნებოდა „ცივი ომის“ წლებში მაგალითად, ფორორ ვრცელია ინფორმაციათა გაცვლა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საკითხებზეც.

საიდუმლო როდია, რომ ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ სამსახური გაუწიონ როგორც მშვიდობისა და ნდობის მიზნებს, და ასევე შეუძლიათ მთელ მსოფლიოს მოსდონ ქვეყნებსა და ხალხებს შორის შუღლს შხამი. ჩვენ გვინდა, რომ თათბირის შედეგები იყოს ამ დარგებში თანამშრომლობის სწორი ორიენტირიც.

თათბირმა მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი, რომლებიც პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას სამხედრო დაძაბულობის შენელებით ახლებენ. ესეც თვისებრივად ახალი საფეხურია სახელმწიფო ნდობის განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრული მომხრეა იმისა, რომ თათბირის შემდეგ სამხედრო დაძაბულობის შენელება კიდევ უფრო განვითარდეს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა ის არის, რომ გამოვახოთ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების ზზები ისე, რომ არაფერი დაუშავდეს რომელიმე სახელმწიფოს უშიშროებას. პირიქით — ეს სასარგებლო უნდა იყოს ყველასათვის.

თათბირზე მიღწეულ შეთანხმებათა განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა და მორალური ძალა ის არის, რომ მათ თავიანთი ხელმოწერით დაამტკიცებენ მონაწილე სახელმწიფოთა უმაღლესი ხელმძღვანელები. ამ შეთანხმებებს მივანიჭოთ სრული ქმედითობა — ეს არის ჩვენი საერთო უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ თათბირზე წარმოდგენილი ყველა ქვეყანა განახორციელებს მიღწეულ შეთანხმებებს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი სწორედ ასე იმოქმედებს.

ჩვენი აზრით, თათბირის შეჯამებული შედეგი ის არის, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება სულ უფრო მეტი მოცულობით ივსება კონკრეტული მატერიალური შინაარსით. სწორედ დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია — აი რა არის საქმის არსი, ყოველივე იმის არსი, რამაც ევროპის მშვიდობა ადამიანად მტკიცე და ურყევი უნდა გახადოს. და ჩვენ ამ დროს ქვაკუთხედად მივიჩნევთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, განიარაღების საქმეში რეალური შედეგების მიღწევის ამოცანას.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოვაცხადოთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის სწორი და სამართლიანი პრინციპები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს პრინციპები დავამკვიდროთ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში. დავნერგოთ პრაქტიკაში და გადავაქციოთ საერთაშორისო ცხოვრების კანონად, რომლის დარღვევის უფლება არავის არა აქვს. ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა მიზნად ისახავს იმას, რასაც ერთხელ კიდევ ვაცხადებთ ამ მაღალი ტრიბუნიდანაც.

რა თქმა უნდა, ევროპის 33 სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრა თავისთავად — ისტორიაში უპრეცედენტო — უნდა გახდეს დიდმნიშვნელოვანი რგოლი დაძაბულობის შენელების, ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების პროცესში. ყოველივე ეს ასეა.

მაგრამ ამ შეხვედრასთან, თათბირის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ხალხთა იმედები რომ მთლიანად გამართლდეს, არ შეირყეს პირველი უამინდობისას, საჭიროა, საჭიროა კვლავაც განგახორციელოთ საერთო ღონისძიებანი, ყველა მონაწილე სახელმწიფომ ყოველდღიურად იმუშაოს დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის.

თათბირის წარმატება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მონაწილენი განუწყვეტლივ მიდიოდნენ ერთმანეთის შესახვედრად. და, თუმცა უხდებოდათ სიძნელეების, ხშირად კი მნიშვნელოვანი სიძნელეების გადალახვა, მაინც შეძლეს ბოლოს და ბოლოს გამრეშუშავებინათ საყოველთაოდ მისაღები შეთანხმებანი ყოველ განხილულ საკითხზე. ეს შეთანხმებანი შობილი და მიღწეულია არა იმით, რომ თათბირის ზოგიერთი მონაწილე თავს ახვევდა თავის შეხედულებებს მეორე მონაწილეს. არამედ ყველას აზრებისა და ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე და საერთო თანხმობით.

თუ აქ არის კომპრომისები, ეს კომპრომისები საფუძვლიანია, მშვიდობისათვის ხელსაყრელია და არ უგულებელყოფს განსხვავებას იდეოლოგიასა და სახოგადოებრივ სისტემებში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს არის მონაწილე სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკური ნების გამოხატულება იმ სახით, რამდენადაც დღეს ეს მისაღწევია სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა არსებობის პირობებში.

თათბირის მუშაობის გამოცდილებიდან ვამომდინარეობს დიდმნიშვნელოვანი დასკვნები მომავლისთვისაც. მათგან მთავარია, და იგი გამოხატულია საბოლოო დოკუმენტში, საგარეოპოლიტიკური ხასიათის ამა თუ იმ მოსაზრებებზე დაყრდნობით არავინ არ უნდა ეცადოს უკარნახოს სხვა ხალხებს, თუ როგორ მოაწყონ თავიანთი საშინაო საქმეები. თვითეული სახელმწიფოს ხალხს, და მხოლოდ მას აქვს სუვერენული უფლება გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები. დააწესოს თავისი საშინაო კანონები. სხვაგვარი მიდგომა მერყევი და საშიში ნდადგება საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისათვის

დოკუმენტი, რომელსაც ხელს ვაწერთ, სახელმწიფოთა ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი მოქმედების ფართო, მაგრამ მკაფიო პლატფორმაა რამდენიმე წლისათვის, იქნებ, რამდენიმე ათწლეულისთვისაც. მაგრამ მიღწეული ზღვარი არ არის. დღეს ეს შესაძლებლობის მაქსიმუმია, ხვალ კი იგი უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი იმ მიმართულებებით შემდგომი წინსვლისათვის, რომლებიც თათბირმა დასახა.

კაცობრიობისათვის დამახასიათებელია მემკვიდრეობითობისადმი მისწრაფება წამოწყებებსა და საქმეებში. ეს ეხება ისეთ დიდ საქმესაც, რომელსაც ახლა იწყებს ჰელსინკში წარმოდგენილი 35 სახელმწიფო; ეს გამოიხატა იმითაც, რომ დაისახა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პირველი თათბირის შემდგომი ღონისძიებანი მისი ამოცანების განხორციელებისა და განვითარებისათვის.

ამ უაღრესად ავტორიტეტულ აუდიტორიაში გვინდა მთელი ძალით აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკის ერთ-ერთი განუყოფელი თვისება — მისი ჰუმანიზმი. ჰუმანიზმის იდეებით არის გამსჭვალული ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მშვიდობის პროგრამა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი იყო სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ევროპის მშვიდობის განმტკიცების მთავარ პრობლემებზე თათბირის მიერ შემუშავებული დებულებანი ემსახურებიან ხალხთა ინტერესებს, ადამიანთა ინტერესებს მათი საქმიანობის, ეროვნების, ასაკის მიუხედავად — ემსახურებიან მუშათა, სოფლის მშრომელთა, ინტელექტუალური შრომის პირთა, ცალცალკე თვითეული ადამიანის და ერთად ყველა ადამიანთა ინტერესებს. ისინი [illegible] ამსჭვალულია ადამიანისადმი პატივისცემ[illegible] [illegible]ოთ იმისათვის, რომ იგი ცხოვრობდეს [illegible] [illegible]ებში და გულდაჯერებით შეჰყურებდეს [illegible]

ჩვენს მიერ მიღწეული შეთანხმებანი [illegible] ეგრეთ წოდებულ „დიდ პოლიტიკაზე“ ხალხთა ზემოქმედების გაძლიერების შესაძლებლობებს. ამავე დროს ისინი ეხებიან საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემებსაც. ისინი ხელს შეუწყობენ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მათი სამუშაოთი უზრუნველყოფას, განათლების პირობების გაუმჯობესებას. ისინი უკავშირდება ზრუნვას ჯანმრთელობისათვის, მოკლედ რომ ვთქვათ, ბევრ რამეს, რაც შეეხება ცალკეულ ადამიანებს, ოჯახებს, ახალგაზრდობას, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს.

ჩვენ, ისევე როგორც ამ ტრიბუნიდან გამოსულ ბევრ სხვას, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მიგვაჩნია მისი ყველა მონაწილის საერთო წარმატებად. მისი შედეგები სასარგებლო შეიძლება იყოს ევროპის ფარგლებს გარეთაც.

გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგები ისეთია, რომ არ არიან გამარჯვებულნი და დამარცხებულნი, შემძენნი და დაზარალებულნი. ეს არის გონების გამარჯვება. მოიგო ყველამ: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებმა, სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების კავშირების მონაწილეებისა და ნეიტრალური, პატარა და დიდი სახელმწიფოების ხალხებმა. ეს არის ყველას გამარჯვება, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი პლანეტის მშვიდობა და უშიშროება.

დარწმუნებული ვართ, რომ იმის წარმატებით განხორციელება, რაზეც აქ შევთანხმდით, არა მარტო კეთილნყოფილ გავლენას მოახდენს ეკროპის ხალხთა ცხოვრებაზე, არამედ დიდმნიშვნელოვანი წვლილიც იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მინდა გამოვთქვა კიდევ ერთი აზრი, რომელსაც ალბათ იზიარებს ბევრი აქ დამსწრე. თათბირი საერთაშორისო პოლიტიკის სასარგებლო სკოლა გამოდგა მონაწილე სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით სასარგებლო ჩვენ დღეებში, როცა არსებობს ნგრევისა და ელეტის წარმოუდგენელი საშუალებები.

მძლავრი იმპულსი, რომელიც გამოიწვია თათბირის მონაწილე 35 სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ამ შეხვედრამ, უნდა დაეხმაროს ყველას ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ, რომ იცხოვრონ მშვიდობიან პირობებში.

დასასრულ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ფინეთის ხალხსა და მთავრობას, პრეზიდენტ უ. კეკონენს მესამე ეტაპის მუშაობის ჩინებული ორგანიზაციისათვის, განსაკუთრებული გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**



ჰელსინკი. სასახლე „ფინლანდია“. ტრიბუნაზეა ლ. ი. ბრეჟნევი. საკადრო-საქინფორმის ტელეფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ი. კადართან

31 ივლისს სასახლე „ფინლანდიაში“ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი.

საუბარში, რომელიც გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა, ყურადღების ცენტრში იდგა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისადმი მიძღვნილი საკითხები.

აზრთა ურთიერთგაზიარების დროს მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური ურთიერთობის განვითარების გამო. (საკ. ინ.).

ლ. ი. ბრეჟნევის საუბარი ტ. ქივკოვთან

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის მსვლელობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს 31 ივლისს მეგობრული საუბარი ჰქონდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ტ. ქივკოვთან.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ქივკოვმა კმაყოფილება გამოთქვეს თათბირის მუშაობის მიმდინარეობის გამო, რომელიც მოწოდებულია მტკიცე საფუძველი შექმნას ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და თანამშრომლობისათვის.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ქივკოვმა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით გაუზიარეს ერთმანეთს აზრი საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის გაღრმავების ზოგიერთ საკითხზე. (საკ. ინ.).

მშვიდობისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის

სრულიად ევროპის თათბირზე

ფინანსების შემდეგ „ფინანსთან“ სასახლეში 30 ივლისს გაიმართა პირველი სხდომა.

სხდომაზე პირველი გამოვიდა **დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი.** მან იმედი გამოთქვა, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ამ თათბირს შეაფასებენ როგორც შეთანხმებების მოწვევას ისტორიაში.

ჩვენ, განაგრძო ორატორმა, აქ შევიკრიბეთ დაძაბულობის შენელების ნიშნით, ჩვენ ახლა აქ ვმსჯელობთ იმის წყალობით ინიციატივებით, რომ დაძაბულობის შენელების სულისკვეთება საფუძველად ედო მოსამზადებელ მუშაობას, შთაგონებდა და წარმართავდა მას.

ჩვენ შევიკრიბეთ თანაარსებობის ბაზაზე. ზოგჯერ მე ვხედავ, რომ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეები გაურბიან „მშვიდობიანი თანაარსებობის“ გამოთქმით სარგებლობის იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ხელმძღვანელი სხვადასხვა დროს სხვადასხვა განმარტებას აძლევს მას. მე ამ მხრივ არ განვიცდი მერყეობას.

შემდეგ ჰ. ვილსონმა თავის გამოსვლაში დამსწრეთ მოაგონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები მათი ზეგავლენის დროს მოსკოვში იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელებს „შეკიცდა ოქმი გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ ისტორიულად შეუქცევადი ხასიათი მიანიჭონ არა მარტო თავიანთად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, არამედ აგრეთვე რეალურ შემობრუნებას სხვადასხვა სიზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ნორმალიანი, ნაყოფიერი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისაკენ სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. სწორედ ასე გვესმის ჩვენ საბჭოთა კავშირში შეხვედრიანი თანაარსებობა“.

მე არ გამტკიცებ, თქვა შემდეგ ჰ. ვილსონმა, რომ დოკუმენტები, რომელთა მოწონებას ჩვენ ახლა ვაბარებთ, თავისთავად შეამცირებენ დაძაბულობისა და უნდობლობის. მაგრამ ეს დოკუმენტები მეტია, ვიდრე კეთილი განზრახვები, მეტია, ვიდრე იმის სურვილი, რომ ახალი ურთიერთობა მივიკეთ ჩვენს ურთიერთობას. ისინი წარმოადგენენ მორალურ ვალდებულებას, რომლის ფარგლებიდან [illegible] ... ახალ თავს იწყებ[illegible] ევროპის ისტორიაში.

ხელშეკრულებებმა, შეთანხმებებმა და მორიგებებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიასა და ოთხ სახელმწიფოს შორის, განაგრძო ორატორმა, საგრძნობლად შეანელეს მდგომარეობის სიმწვავე ევროპის ცენტრში. ჩვენ სრული მონაწილეობა მივიღეთ ამ პროცესში და ვიგრძენით, მან მოგვცა ენერგია. ეს სარგებლობა კიდევ უფრო უნდა განვაძლიერეთ მას შემდეგ, რაც დამთავრდება ახლანდელი თათბირი. ჩვენი საკუთარი ხალხები, ისტორია ჩვენგან ელიან, თავთავადან ჩვენგანს იძახელებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ვცავთ ან ვარღვევთ ამ ბრძანებულებებს. საერთაშორისო ურთიერთობებში ეს ერთ-ერთი ყველაზე [illegible] ... ეს ... ეს ... ეს

უდიდესი მოვლენა ევროპის ისტორიაში

ქვეყნად რომ იყოს მშვიდობა...

საქართველოს მშრომელთა ხმა

უშიშროებისა და თანამშრომლობის სრულიად ევროპის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამოსვლა მშვიდობისათვის კაცობრიობის უკეთესი ნაწილის ბრძოლის ჭეშმარიტი გამონატულებაა.

ევროპისა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის ბრძოლაში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზებია დასახული საბჭოთა დელეგაციის მეთაურს ჭეშმარიტად ისტორიულ გამოსვლაში.

მსოფლიოს მეცნიერები, რომლებიც ღიზღვიან კაცობრიობის ბედნიერებისა და უკეთესი მომავლისათვის, აღფრთოვანებული არიან საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ბრძნული გამოსვლით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში.

მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე!— ამას ესწრაფვიან ჩვენი პარტია, მთავრობა.

და ჩვენი, მეცნიერების, ვალია მთელი ჩვენი მოღვაწეობა ამ უკეთილშობილურს საკაცობრიო იდეას ეუძღვნათ.

აკად. ეგბ. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის მთელი ყურადღება მიპყრობილია ჰელსინკისაკენ.

დღეს ყველას ცალკად ვკითხავ, რომ შეიარაღების შემცირება, მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარება — ეს ნიშნავს ხალხთა ეროვნული დონის შემდგომ ამაღლებას. ამიტომ ჩვენი დიდი ქვეყნის მშრომელებთან ერთად, საქართველოს მუშათა კლასი ენერგიის დაუზოგავად შრომობს ხუთწლიანი გეგმის ადრამდე შესრულებისათვის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო საწარმოს საქსოვი საამქროს მუშებმა გულდასმით მოვისმინეთ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ჰელსინკში. ერთხელ კიდევ ღრმად დაეწრფნენით, თუ რა თანმიმდევრულად და მტკიცედ იბრძვის ჩვენი ქვეყანა საყოველთაო მშვიდობისათვის. ხალხთა კეთილდღეობისათვის ზრუნვას დამკვიდრებული შრომით უნდა ვუპასუხოთ. ჩემმა ბრიგადამ შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა. ახლა პარტიის XXV ყრილობის პატივსაცემად ვიხტუნებ ვდგავართ და ახალი შრომითი წარმატების მიღწევისათვის ვიბრძვით.

ვ. ბეგეშვილი,
თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქვეოსტატი.

მშვიდობა, მშვიდობა და კიდევ მშვიდობა! ეს არის საუკუნეთა მარადიული ძახილი, აზრიანი და ჰუმანური ძახილი! კაცობრიობის ნატვრა, სურვილი, მოწოდება.

გუშინ ჩვენ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ჰელსინკის თათბირზე, რომელშიც ნაჩვენებია ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობის შენარჩუნების გზები.

მსოფლიოს ხალხები იმედის თვალით შესცქერიან ადამიანის საკეთილდღეოდ ბრძოლის ამ ფრიად საეტაპო ფორუმს. იმედი რწმენაში უნდა გადაიზარდოს. რწმენა კი დიდი ძალაა!..

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მთელი საბჭოთა ხალხის სულისკვეთება გამოხატა, როდესაც 30 ივლისს კორესპონდენტებთან საუბარში თქვა— „მე მინდა, რომ ევროპაში იყოს მშვიდობა, რომ სახელმწიფოები ცხოვრობდნენ მშვიდობიანად, არ ეროვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, რომ ურყევად სცემდნენ პატივს თვითეული სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს“.

დიდი ბრძოლის შედეგად მოპოვებული კეთილი დღე დგება ევროპის კონტინენტზე, ნათელი პერსპექტივების დღე. იზრდება მსოფლიო უშიშროებისა და თანამშრომლობის მებრძოლთა რიგები, მაშასადამე, მუდამ იქნება მზე.

მორის ფოცხიშვილი.
პოეტი.

სურათზე: თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხნის მუშები ტელევიზორში დიდი ინტერესით უყურებენ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას ჰელსინკის ხახასლე „ფინეთში“.
ხ. ჰელაძის ფოტო.

...ოლიმპიადა
გონების შეჯარიბებისა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითს ეტაპზე ჰელსინკში, რომელიც უდიდესი ინტერესით აღიქვეს ხალხლვარგარეთ, მაშინვე გამოიწვია აღფრთოვანებული გამოხმაურებათა ტალღა. უდიდესმა რადიო და ტელესადგურებმა, საინფორმაციო სააგენტოებმა გადასცეს გამოსვლის დაწვრილებითი შინაარსი. უკვე პირველსავე კომენტარებში ხაზგასმულია ლ. ი. ბრეჟნევის ზრუნვა დაძაბულობის შენელების შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის.

ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ ჰელსინკის თათბირის შედეგები — ეს არის ყველა მონაწილე სახელმწიფოს ინტერესების გულდასმით აწონ-დაწონილი ბალანსი, და ფინეთის დედაქალაქიდან გაგზავნილ დეპეშაში ხაზს უსვამს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის რწმენით, საგარეო პოლიტიკური ხასიათის ამა თუ იმ მოსაზრებებზე დაყრდნობით არავინ არ უნდა ეცადოს უკარნახოს სხვა ხალხებს, თუ როგორ მოაწყონ თავიანთი საშინაო საქმეები.

სრულიად ევროპის თათბირზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის კომენტარში რეიტერის საინფორმაციო სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს: საბჭოთა კავშირი იმის თანამიმდევრული მომხრეა, რომ თათბირის შემდეგ კიდევ უფრო განვითარდეს საშინაო დაძაბულობის შენელება.

„ლ. ი. ბრეჟნევი ლაპარაკობს ევროპაში გონების გამარჯვებაზე“. — აღფოთოვანება დასავლეთ გერმანიის დპა-ს საინფორმაციო სააგენტო.

საზღვარგარეთის პრესა კვლავ ფართოდ განმარტავს სრულიად ევროპის თათბირის მომდინარეობასა და მნიშვნელობას.

ფიდპაეშნი. ოფიციალურ გაზეთი „მადიარ ხირლაპი“ აღნიშნავს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის დასკვნითი ეტაპი — ეს არა მარტო საზეიმო აქტია, არამედ ყველაზე თვალსაჩინო და აქეელაზე აქტუალური მოვლენაც არის დღევანდელ საერთაშორისო ცხოვრებაში.

ოუზეი. გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ წერს, რომ ჰელსინკის თათბირი უდიდესი მოვლენაა ევროპის ისტორიაში, იმიტომ, რომ იგი დაიწყო არა ბრძოლების გრიალით, არამედ ღრმა, ბრძნული ფიქრის ნუთით, იმიტომ, რომ იგი გვაუწყებს მშვიდობას, უშიშროებასა და ნაყოფიერ თანამშრომლობას ყველა ევროპელს შორის, იმიტომ, რომ იგი იძლევა განვითარების სწორ მიმართულებას არა მარტო ერთი კონტინენტისათვის, არამედ მთელ კაცობრიობასაც უკვალავს გზას და უჩვენებს მისაბაძ მაგალითს.

პარიზი. უმაღლეს დონეზე სრულიად ევროპის თათბირის წარმატებით დამთავრება ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენაა, აღნიშნავს გაზეთი „ლუმანიტე“.



ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ

ფიქრები და შენიშვნები ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ

ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ხნის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ბიღლო დადგენილება „ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ“, ხოლო შემდეგ გაზეთმა „პრავდამ“ ამ საკითხს საგანგებო მეთაური წერილი მიუძღვნა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი და ეროოული ღონისძიებაა.

დადგენილებაში მითითებულია, რომ „ხალხური სარეწების საწარმოებში მოგვარებული არ არის შემოქმედებითი პროცესის ორგანიზაციის მწყობრი სისტემა. ხშირად ჯეროვანად არ ფასობენ მხატვრის, ხალხური ოსტატის, როგორც ხალხური სარეწის ცენტრალური ფიგურის როლს“.

ამჯერად ეურიგო არ იქნება გავიხსენოთ წარსული ზოგიერთი ფაქტი. ჯერ კიდევ 1937 წელს საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან ჩამოყალიბდა ქართული ხალხური ხელოვნების მუზეუმი. შემდეგ კი — ქართული სახეითი ხელოვნების სასწავლო ექსპერიმენტალური კომბინატი. სადაც ცნობილი ოსტატები ხანდამაშვილი, ძმები ჯიქები, ფოფოხინაკი, ჯანდიერი, წერეთელი, მამადაშვილი, მანუკოვები და სხვები ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმს და თან შეგირდებს ასწავლიდნენ.

აღნიშნულმა სასწავლო ექსპერიმენტულმა კომბინატმა 1941 წლამდე იარსება. სამამულო ომის გამო მან დროებით შესწყვიტა მუშაობა. 1945 წელს კი ავლ-ბ განახლდა კომბინატის მუშაობა. მისი ექსპონატები მექანიკურად ქართული ხალხური სახეითი ხელოვნების მუზეუმში გადადიოდა და მუზეუმი ყოველწლიურად მდიდრდებოდა. 1949 წელს კომბინატი, ალბა გამო, რომ რენტაბელური არ იყო, დაიხური, ხოლო ეს მომუშავე რამოდენიმე სპეციალისტი ენერგიის სამინისტროს საწარმოო კომბინატში გადავიდა. შემდეგ მოზეიმეც გამოეყო ხალხური შემოქმედების სახლს და ცალკე ერთეულად შეიქმნა.

1966 წელს სამხატვრო აკადემიასთან ჩამოყალიბდა სასწავლო საწარმოო წამოწყება. თავი მოუყარეს ლითონის, ხის მხატვრული დამუშავების, ქსოვა-ქარგულობის ხალხურ ოსტატებს (ლითონის მხატვრული დამუშავების ოსტატებად სწორედ ხანდამაშილისა და ამები ჯიქიების მოწაფეები მიიწვიეს).

ამ ორი წლის წინათ აკადემიასთან არსებული საწარმო ალეკმდა და კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატს გადაეცა. ხოლო წელიწადს 1 იანვრიდან კულტურის სამინისტრომ ვერიხლის საწარმოო სხვა საწარმოებთან ერთად გადასცა თეატრალურ ხელოვნებას. რომელიც მასობრივი წარმოებით ეთოროა დაინტერესებული, ვიდრე უნიკალური ნაკეთობებით.

უფრო მიხანშეწონილი ხომ ეარ იქნებოდა ვერცხლის საწარმო თავისი ხალხური ოსტატებით დაბრუნებოდა თავის პირველ შემქმნელს — საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს. გახსნილიყო სახელოსნოები ვერცხლის ჭეშნაზე. ალდგარიყო ძველი ტრადიცია. ჭეშოდა თავისი სალონი. სადაც. შესაძლებელი იქნებოდა როგორც ინდივიდუალური შეკვეთების მიღება. ისე ჭეშ: ნაწარმის ალაყიდვა?

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ხალხური ენერგიის ინტენსიფიკაციისათვის. რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა ხალხური ხმატვრული გამოყენებითი ხელოვნებისა და სოფელნირების ალერთიანება „სოლანი“. ეარშან კი მიეიღის დადგენილება. რომ „სოლანთან“ შეიქმნას ხალხური ხელოვნების მეცნიერული ეველის ლაბორატორია, რომლის მიზანია შეისწავლოს ხალხური გამოყენებითის ხელოვნების ეველა ფორმა. ეს ეარ ეიყოს ეველა ოსტატი ეველა ეარ ეიყოს ეველა ეარ ეიყოს ეველა ეარ ეიყოს

რატომ დგანან მშობლები სასწავლებლების კარებთან?

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

დღეს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში იწყება მისაღები გამოცდები. მოწმდება აბიტურიენტთა — გუშინდელი მოსწავლეების მიერ ათი წლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და შრომის შედეგები. გამოცდებს თან ახლავს ლელვა როგორც აბიტურიენტების, იხე მათი აღმზრდელი - მასწავლებლების, მშობლების მხრივაც.

გუშინ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის მასწავლებელ-მეთოდისტის ქეთევან ტუსკიას წერილი — „შვილის ნიშნის მოლოდინში". წერილი ეხებოდა იმ მტკივნეულ საკითხს, რომ გამოცდების პერიოდში ადგილი აქვს უმაღლესი სასწავლებლების კარებთან მშობელთა უსაფუძვლო, უმიზნო თავმოყრას. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო პირველი გამოხმაურებანწერილები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.

ვედაბრ ქეთევან ტუსკიას წერილში, გუშინ გაზეთ „კომუნისტში" რომ დაიბეჭდა, სავსებით დროული საკითხია დაყენებული. მისაღები გამოცდების დროს უმაღლესი სასწავლებლების წინ მშობლების ასეთი რაოდენობით თავმოყრა არაფერით არ არის გამართლებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მართო თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ამჟამად მისაღები გამოცდები უნდა ჩაბარის ოთხ ათასამდე აბიტურიენტმა. და თუ ამათ დამატებიან მშობლებიც, ნათესავნიც და ნაცნობი მეგობარნიც, ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეებში შეექმნებათ მუშაობაში მიმღები კომისიის წევრებსაც და თვით აბიტურიენტებსაც.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ყველა პირობაა შექმნილი, რომ აბიტურიენტმა ცოდნა მაქსიმალურად გამოავლინოს. მხოლოდ საჭირო იქნება მშობლებმა შვილებს მისცენ მეტი დამოუკიდებლობა, გათავისუფლონ ისინი მეურვეობისაგან, ამით დიდ დახმარებას გაუწევენ შვილებსაც და მიმღებ კომისიებსაც.

დოცენტი ო. ქაჯაია.
თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი სასწავლო დარგში.

❑

მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა გაზეთ „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „შვილის ნიშნის მოლოდინში" მიმართ.

გამოდების „ციებ-ცხელებას" აბიტურიენტთა მშობლების დელვა და ღრმა განცდები რომ ახლავს, ეს ბუნებრივიც არის, მაგრამ ყოველ გამოცდაზე სასწავლებლების კარებთან მშობელთა დგომას, ღოდინსა და ღელვას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ისინი არა მარტო ამაოდ კარგავენ დროს, არამედ უდიერადეც ეპყრობიან აბიტურიენტი შვილების ჯანმრთელობას. ხოლო როცა შვილი თავის მშობლებს ნერვებდაძაბულს ტოვებს სასწავლებლის კარებთან, თვითონაც კარგავს სულიერ სიმშვიდეს, რაც მისთვის გამოცდების წუთებში მეტად მნიშვნელოვანია.

მე თვითონ ორი სტუდენტი ვაჟის დედა ვარ და ამაში ღრმად დავრწმუნდი.

ტასო გორდაძე.
მშობელი.

თბილისი.



ესიტყვოდ...

— თავი არ მომჭრა, შენდეი გულშემატკივარი თბილისის „დინამოს" არა ჰყავს, მთელი სოფელი ჩემი ხათრით წამოვიდა.

გ. აბაშიძის ნახატი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ



დასვენებისა და ჯანმრთელობის ზონად იქცა თბილისის ზღვა. ათასობით ქალაქელი მოდის აქ უქმედღეებში, რომ დაისვენონ, იბანაონ, მზის აბაზანები მიიღონ პლაჟზე. მათს განკარგულებაშია გასახდელები, საშხაპეები, სასეირნო ნავები, კატარღები. თბილისის ზღვაზე შექმნილ ქალაქის სახპორტო კომიტეტის წყალსაჯომარდო ბაზას აქვს ათობით კანოე და ბაიდარი, აკადემიური ნავები და იახტა. სურათზე: დამსვენებელთა განკარგულებაშია სასეირნო ნავები, კატარღები.

გ. კბეკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲤᲘᲜᲘᲨᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲔᲑᲛᲐ ᲙᲚᲐᲛᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲡ

ᲚᲣᲫᲜᲘᲙᲘᲡ ოთხი დღე დიდხანს არ დაავიწყდებათ არა მარტო „სპორტის დიდოფლის" — მძლეოსნობის თაყვანისმცემლებს, არამედ ჟურნალრის უშუალო, მონაწილეებსაც. არც ერთ დღეს ურეკორდოდ არ ჩაუვლია, მაგრამ ფინიშში მოლოდინს გადაჰარბა. ამ სპორტულ დავაში დიდ სამეფოდ აღიარებულ იქნენ მოსკოვის, უკრაინისა და რსფსრ-ის მძლეოსანთა კოლექტივები, რომლებმაც თვალსაჩინოდ გაუსწრეს უახლოეს მეტოქეებს. ეი მათი ქულების შესაბამისად — 968, 843, 750.

რა თქმა უნდა, გაახარებს ჟურნალრზე მათი და სხვათა მიღწევები, მაგრამ საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უკანასკნელსწინა — მეთექვსმეტე ადგილი არა მარტო გულსაკენია, არამედ დიდ გაკვირვებასაც იწვევს. მძოლოდ ვ. სანე